<u>ინფორმაცია</u> IX სტუდენტურ სამეცნიერო <u>კონფერენციასთან დაკავშირებით</u>

მნიშვნელოვანი თარიღები

- **აბსტრაქტების წარდგენის დაწყება -** 2023 წლის 1 ივნისი
- **აბსტრაქტის წარდგენის ბოლო ვადა** - 2023 წლის 15 ივნისი
- **კონფერენციის ჩატარების თარიღი:** 2023 წლის 20 ივნისი

კონფერენციის სამუშაო ენა: ქართული.

კონფერენციის ჩატარების ადგილი:
ევროპის უნივერსიტეტის ზ. ჟვანიას სახელობის საპარლამენტო დარბაზი. მე-5 სართული, 505 აუდიტორია.

მოხსენების ფორმა:
კონფერენციაზე მოხსენებები წარმოდგენილი უნდა იყოს პრეზენტაციის სახით (პრეზენტაცია შესრულებული უნდა იყოს Microsoft PowerPoint).

რეგლამენტი:
მოხსენების ხანგრძლივობა 15 წუთი. გათვალისწინებულია დამატებითი დრო შეკითხვებისა და დისკუსიისთვის.

აბსტრაქტის გაფორმების წესი:

- აბსტრაქტი უნდა იყოს სტრუქტურიზებული და უნდა მოიცავდეს პრობლემის აქტუალობას, მასალისა და მეთოდების მოკლე აღწერას, კვლევის შედეგებს, დასკვნებს (150-200 სიტყვა);
- სათაური უნდა იყოს გარკვევით ფორმულირებული და არ უნდა მოიცავდეს 15 სიტყვაზე მეტს;
- ავტორის და თანაავტორ(ებ)ის სახელები იწერება სრულად;
- უნდა მიეთითოს ნაშრომის შესრულების დაწესებულება (უნივერსიტეტი,
- ფაკულტეტი) სამეცნიერო ხელმძღვანელი (სახელი, გვარი, სამეცნიერო და აკადემიური ხარისხი).

მოხსენების შეფასების კრიტერიუმები:

შინაარსის რელევანტურობა (5 ქულა):
პრეზენტაციის ფოკუსირება საკვანძო საკითხებზე, ძირითადი და არა მეორეხარისხოვანი (ან ნაკლებად მნიშვნელოვანი) ინფორმაციის დომინირება.

ანალიზი და არგუმენტირება (5 ქულა):
პრობლემისა და მისი გადაჭრისათვის გაწეული სამუშაოს გააზრებული, დამაჯერებელი ანალიზი.

პრეზენტაციის სტრუქტურა (5 ქულა):
პრეზენტაციის წარმოდგენა მკაფიო, ლოგიკური, თანმიმდევრული ფორმით.

გამოყებული წყაროები (5 ქულა):
პრეზენტაციის ბოლოს გამოყენებული წყაროების აკადემიური ეთიკის დაცვით მითითება.

აუდიტორიასთან კონტაქტი (5 ქულა):
აუდიტორიის ინტერესის პროვოცირება და შენარჩუნება. ვიზუალური კონტაქტი მსმენელთან, არსებით საკითხებზე ყურადღების გასამახვილებლად მიმიკის, ჟესტიკულაციის, ინტონაციის გამოყენება.

ვიზუალიზაცია (5 ქულა):
პრეზენტაციაში გამოყენებული ვიზუალური მასალების ხარისხი, რელევანტურობა.

მეტყველების კულტურა (5 ქულა):
გამართული ქართულით საუბარი და შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენება.

დამაჯერებლობა (5 ქულა):
შეკითხვაზე ადეკვატური, არგუმენტირებული პასუხის გაცემა.

რეგლამენტის დაცვა (5 ქულა):
პრეზენტაციისათვის და პასუხისათვის გამოყოფილი დროის რაციონალურად გამოყენება.

კონფერენციის შედეგები შეფასდება კომპეტენტური ჟიურის მიერ.
I, II, III ადგილებზე გასული სტუდენტები დაჯილდოვდებიან პრიზებით.
ადგილები განაწილდება ქულათა რაოდენობის მიხედვით. მონაწილეებს გადაეცემათ სერტიფიკატები.

სტუდენტმა უნდა გამოაგზავნოს აბსტრაქტი შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: **scientific.conferences@eu.edu.ge**.

სათაურის ველში მიუთითეთ: **სტუდენტური კონფერენცია 2023**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ნომერზე: 596 171 171